პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — 1978

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

□ შაბათი **2** სექტემბერი *1978 წ.* □ № 206 (17250) □ ფასი 2 კაპ.

ჩვენი დღეთა მაჯისცემა

მომავალი წლის ანგარიშში

ტყიბული. (საკ. კორ). „ქვანახშირის მონგრევის ხუთი დღის დავალებას შევასრულებთ ოთხ დღეში, რუსთაველ მეტალურგებს მივაწვდით მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას" — ასეთი პუნქტი ჩაწერა სოციალისტური შეჯიბრების გალდებულების ტექსტში ლენინის სახელობის შახტის კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მაღაროელი გ. ციცქიშვილი უძღვას სათავეში.

მეშახტეთა სიტყვა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მტკიცე გამოდგა. ამ დღეებში ეიურიმ შეაჯამა ბრიგადის მუშაობის შვიდი თვის შედეგები. მათ 3.000 ტონით მეტი საკოქსე ქვანახშირი მოანგრიეს. ვიდრე ნორმით იყო გათვალისწინებული და ვადაზე ხუთი თვით ადრე შეასრულეს მეათე ხუთწლედის მესამე წლის დავალება. ახლა ისინი-ქვანახშირს მომავალი 1979 წლის იანვრის ანგარიშში აძლევენ.

ამ წარმატებას ხელი შეუწყო სანგრევში შრომის სწორმა ორგანიზაციამ, ქვანახშირის სქელი ფენების დამუშავების სრულყოფამ. ახლა ბრიგადის თითოეულ წევრი ცვლაში 8 ტონის ნაცვლად 12 ტონა ქვანახშირს ანგრევს და ყოველდღიურად ერთნახევარ ნორმას ასრულებს.

მოწინავე ბრიგადის გამოცდილება ფართოდ გავრცელდა ტყიბულის ქვანახშირის შახტებში. მას აქ ბევრი მიმდევარი გუჩნდა.

ამ დღეებში სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრის ბრძანებით გ. ციცქიშვილს საპატიო მეშახტის წოდება მიენიჭა.



გ. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

გეგმა-დავალების გადამეტებით

აფხაზეთის ავტონომიური სს რესპუბლიკის ოჩამჩირის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „აფხაზეთი" წარმატებებს აღწევს გეგმა-დავალებების შესრულების საქმეში.

სურათზე: ჩაის ფოთლის კრეფა ოჩამჩირის რაიონის ჩაის საბჭოთა მეურნეობა „აფხაზეთში".

420 ათასი ტონა ჩაისათვის!

პრის გეგმა-დავალება

ტემპი უნდა გაძლიერდეს, მეჩაიეებო!

სარეკორდო მიჯნის დაძლევისათვის რესპუბლიკის მეჩაიეთა ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. 1 სექტემბრისათვის მათ მოკრიფეს და სახელმწიფოს მიჰყიდეს 371.800 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი ნაცვლად გეგმა-დავალებით გათვალისწინებული 370 ათასი ტონისა. გეგმა-დავალებები გაანაღდეს და ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვიან ჩოხატაურის, ლანჩხუთის, წულუკიძის, ვანის, წყალტუბოს, ტყიბულის, ხობის და სხვა რაიონები.

მიუხედავად ამისა, რომ რესპუბლიკაში შესრულდა ჩაის დამზადების გეგმა-დავალება და შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1 სექტემბრისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 3.988 ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ეს მაჩვენებელი, ჩაის კრეფის ტემპი არ შეესაბამება 420 ათასი ტონისათვის ბრძოლის მოთხოვნებს. ამ ვალდებულების განაღდების პროგრამის მიხედვით, 1 სექტემბრისათვის დამზადებული უნდა ყოფილიყო 390.600 ტონა.

ვალდებულება რომ შესრულდეს, სეზონის ბოლომდე კიდევ უნდა მოიკრიფოს და სახელმწიფოს მიეყიდოს 48.200 ტონა ჩაის ნედლეული.

ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი უნდა გაძლიერდეს ზუგდიდის, წალენჯიხის, გუდაუთის, გალის, თერჯოლის, ცხაკაიას და სხვა რაიონებში, სადაც შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ჩაის ნედლეულია დამზადებული.

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" ცნობით, დამზადებულია 1 სექტემბრისათვის (ტონობით)

რაიონები	გეგმა-დავალება	31 აგვისტის მიხედვით	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან	შარშანდელთან შედარებით + / −
ხელვაჩაურის	17580	64	15739	+ 207
ქობულეთის	38700	84	35332	+ 591
ქედის	1120	—	826	+ 6
მთლიანად აჭარის ასსრ	57400	151	51897	+ 804
გალის	39500	239	33971	— 798
ოჩამჩირის	29670	252	26547	+ 638
სოხუმის	800	3	661	+ 24
გულრიფშის	2540	21	2248	+ 2
გუდაუთის	6560	39	5023	— 616
მთლიანად აფხაზეთის ასსრ	79070	554	68450	— 750
მახარაძის	75000	308	66842	+2172
ჩოხატაურის	11600	32	10703	+ 220
ლანჩხუთის	19910	134	19123	+ 657
სამტრედიის	2590	10	2270	+ 36
წულუკიძის	8280	67	7579	+ 508
წყალტუბოს	11000	45	10504	+1503
ტყიბულის	9270	19	8892	+ 879
ცხაკაიას	10330	41	8870	— 77
აბაშის	1100	7	792	— 6
გეგეჭკორის	21360	162	19065	+ 318
ზუგდიდის	56358	335	47232	—2115
წალენჯიხის	26300	281	21935	— 508
ჩხოროწყუს	19140	153	17832	+ 175
ხობის	8040	68	7789	+ 30
თერჯოლის	1149	6	978	— 76
ჭიათურის	855	4	950	+ 217
ვანის	650	1	597	+ 2
მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში	420000	2388	371800	+3988

„სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-31"

კვლევა ორბიტაზე

[illegible] 1 სექტემბერი. (საკადრო). მეექვსე დღეა „სალუტ-6" — „სოიუზ-29" — „სოიუზ-31" ორბიტულ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობენ ვლადიმერ კოვალიონოკი, ალექსანდრე ივანჩენკოვი, ვალერი ბიკოვსკი და ზიგმუნდ იენი. დღეს ეკიპაჟი გარემოს შესწავლის მიზნით დედამიწის ზედაპირისა და მსოფლიო ოკეანის აკვატორიის ვიზუალური დაკვირვებისა და ფოტოგრაფირების მორიგ სერიას ასრულებს ექსპერიმენტ „ბიოსფეროს" პროგრამით.

დანადგარ „შენადნობზე" გრძელდება გუშინ დაწყებული ტექნოლოგიური ექსპერიმენტი „ბელოლინა" კოსმოსურ მასალათმცოდნეობაში, რომელიც ერთად შეიმუშავეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებმა. დღეს დაგეგმილია კიდევ ერთი ერთობლივი ტექნოლოგიური ექსპერიმენტი დანადგარ „კრისტალზე". ეს ექსპერიმენტები ეწყობა უწონობის პირობებში ნახევარგამტარი მასალების მიღების მიზნით.

დღის განმავლობაში კოსმონავტები ფიზიკურადაც ვარჯიშობენ. საერთაშორისო ეკიპაჟის უველა წევრი თავს კარგად გრძნობს.

„სალუტ-6" სადგურის, „სოიუზ-29" და „სოიუზ-31" კოსმოსური ხომალდების საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობს. დედამიწახორგკლევ ორბიტაზე კვლევისა და ექსპერიმენტების პროგრამა წარმატებით სრულდება.

ა. ჟ. ხადამი მოსკოვიდან გაემგზავრა

1 სექტემბერს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის ხელმძღვანელობის წევრი, სირიის არაბთა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ჟ. ხადამი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვეული ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში.

აეროდრომზე ა. ჟ. ხადამი გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, სხვა ოფიციალურმა პირებმა.

(საკადრო).

ახალი სასწავლო წლის პირველი დღე

გულითადი მილოცვა

ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა და ა. კოსიგინმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ტონ დიკ თანგს, ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლე ზუანს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ამხანაგ ჩონგ ტინს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრს ამხანაგ ფამ ვან დონგს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო.

დეპეშაში ნათქვამია:

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს შექმნა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო ეროვნული განთავისუფლების, პროგრესისა და სოციალიზმის საქმისათვის. თავისი შებრძოლი ავანგარდის — კომუნისტთა პარტიის ხელმძღვანელობით ვიეტნამელმა ხალხმა განვლილ პერიოდში მძიმე ბრძოლისა და განლტოლიტიბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაბატნოვი, მ. ვ. ზიმიანინი, მეცნიერები, დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კრება გახსნა აკადემიის რექტორმა ვ. ა. მედვედევმა.

ტაბუნს გრიალში საპატიო პრეზიდიუმში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ა. ტიხონოვი.

ამხანაგ ტ. ბაბაიანმა, ეროვნული ეკონომიკის, ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობის, ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობის, ეროვნული ეკონომიკური ეფექტიანობ

მკითხველის დიდი საუბარი

„კომუნისტის“ სარედაქციო ფოსტა

ვეხმაურებით წერილს:

„შენ კომუნისტი ხარ...“

მოვალეობაც, პასუხისმგებლობაც!

ჩვენი კოლექტივი — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური საწარმოს კოლექტივი — ამაყობს იმ დიდი ტრადიციებით, რომლებიც ჩვენთან დამკვიდრდა სახელმწიფო დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების განუხრელი ზრდის უზრუნველსაყოფად. ამ საქმეში თავიანთ გადამწყვეტ სიტყვას კომუნისტები ამბობენ. საწარმოს პარტიული ორგანიზაცია, მისი კომიტეტი ყოველმხრივ ხელს უწყობენ და მომთხოვნელობას აძლიერებენ, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს მინდობილი საქმის შესრულებისათვის მათი პასუხისმგებლობა.

პარტიული კომიტეტის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების პრაქტიკაში უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა ანგარიშების მოსმენა, თუ როგორ შრომობენ კომუნისტები თავიანთ სამუშაო უბნებზე, როგორ ასრულებენ პარტიის საწესდებო მოთხოვნებს. ყოველივე ეს უბრალო ანგარიში როდია, თუ რა დროს და რა მოვალეობის შესრულება ვერ უზრუნველყო საწარმოს რიგითმა ან ხელმძღვანელმა მუშაკმა, არამედ ეს არის ამაე დროს დიდი პარტიული ზრუნვა — გაუადვილდეს ადამიანს საქმე, პრაქტიკულად დაეხმაროთ მას იმ ამოცანების ხორცშესხმაში, რომლებიც თითოეულ ჩვენგანს დაკისრა XXV კონგრესმა, განვითარებული სოციალიზმის თანმიდევრული სოციალისტური კომუნისტური შენებლობის ტემპების გაძლიერებამ.

ვფიქრობ, ყველა საწარმოში, მათ შორის ჩვენს საწარმოშიც, მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა მომარაგების განყოფილების გამართული საქმიანობა. შეფერხებანი ნედლეულითა და დამხმარე მასალებით მომარაგებაში, უკონტროლობა და ურიტმო მუშაობა უარყოფითად მოქმედებს კოლექტივის გუნება-განწყობილებასა და საერთო საქმის წარმატებაზე. სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში, როცა პარტიული კომიტეტის სხდომაზე განსახილველად დავაყენეთ საკითხი — მოგვესმინა მომარაგების განყოფილების უფროსის, კომუნისტ ი. ივანეშვილის ანგარიში. წინასწარ პარტიული კომიტეტი გულდასმით გაეცნო მომარაგების განყოფილების საქმიანობას და ყოველმხრივ გააანალიზა მისი მუშაობა.

პარტიული კომიტეტის სხდომაზე გამოირკვა, რომ კომუნისტ ი. ივანეშვილის ხელმძღვანელობით მომარაგების განყოფილება, ჩვეულებრივ თავის დროზე ადგენს განაცხადს მომავალი წლისათვის ნედლეულსა და დამხმარე მასალებზე. განაცხადი დროულად წარედგინება ხოლმე რესპუბლიკის შესაბამის ორგანიზაციებს, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ მათი დამოკიდებულება საწარმოს მოთხოვნებისადმი, არა თუ მარტო დამაკმაყოფილებელი არ არის, არამედ შეუწყნარებელიც.

მივმართოთ ფაქტებს: განაცხადების მიხედვით პროდუქციის ფონდირება მხოლოდ 40-50 პროცენტით თუ „მაყოფილდება, უფრო მეტიც, საქსოვი დაზგების საკარცლის კბილებისა და ლითონის „რემესის“ ფონდი გამოგვიყვეს მხოლოდ 30 პროცენტი, მაშინ როცა ავტომატური დაზგების მუშაობა, ოამისოდ ყოველდ წარმოდგენელია. „ქიმმომარაგება“, „ელექტრომომარაგება“ და სხვა ორგანიზაციები დროულად და თანამიმდევრულად არ გვაწვდიან გამოყოფილ მასალებს, რის გამოც იძულებული ვართ სისტემატურად ვგზავნოთ ავტომანქანები თბილისში. მარტო შარშან ჩვენმა სატვირთო ავტომანქანებმა 119-ჯერ მოიარეს თბილისი, ხოლო მომარაგების განყოფილების მუშაკებს მიეცათ 114 მივლინება 321 დღით.

ეს ხომ არამწარმოებლური ხარჯებია?! მთავარმომარაგების სამმართველო ნაკლებად ზრუნავს მდგომარეობის გარდასაქმნელად და მუშაობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებზეც მიუთითებდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სამმართველოს ძველ ხელმძღვანელებს. ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობის სამინისტროშიც, რომელიც თვიდან თვემდე ვერ უზრუნველყოფს ორწელრა ბამბის ნედლეულით ჩვენი გაერთიანების მომარაგებას.

ჩვენი საწარმოს მომარაგების განყოფილებაში სხვა ბევრი, ე. წ. „სუბიექტური მიზეზებით“ გასათვალისწინებელი ნაკლოვანებანიც არის. მაგალითად, სათანადო სიმაღლეზე არ დგას მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობა, სატარო მეურნეობა, ზოგჯერ ჭიანურდება ვაგონების დაცლა, რის გამო ბევრია ჯარიმები და ა. შ. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ნედლეულითა და დამხმარე მასალებით შეუფერხებელი მომარაგება ხელს შეუწყობდა კოლექტივს უკეთესი შაჩვენებლების მოპოვებაში. მაგრამ იქ ხომ კომუნისტებიც მუშაობენ?! რატომ იქცევიან გულგრილად?

მოვალეობა და პასუხისმგებლობა მთელი ჩვენი საქმიანობის გასაღებია. ამიტომაც ჩვენი წარმოების პარტიული ორგანიზაციები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ მინდობილი საქმისათვის მუშაკთა, უწინარეს ყოვლისა კომუნისტთა პასუხისმგებლობის ასამაღლებლად.

ა. ტეხაშვილი.

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მეთაური პარტიული კომიტეტის წევრი, საქსოვი წარმოების ხარისხის უფროსი ინჟინერი.

საბჭოთა არმია აღზრდის სკოლაა

ძმები ბადრიძეები

ძვირფასო რედაქციავ!

ჩვენს ჯარის ნაწილში სავალდებულო სამსახურში მოვიდა ორი ძმა — ამირან და ბადრი გიორგის ძე ბადრიძეები. ისინი გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მკვიდრნი არიან. მინდა მოკლედ გიამბოთ, თუ როგორ იხდიან ისინი თავიანთ მხედრულ ვალს.

პირველ დღეებიდანვე კეთილსინდისიერად დაიწყეს ძმებმა სამხედრო საქმის შესწავლა. ამავე დროს დიდ დახმარებას უწევენ ამაში თანამემამულე ამხანაგებს, რომლებმაც ჯარად არ იციან რუსული ენა. ეს კი ჩვენთვის მეთაური ოფიცრებისათვის ფასდაუდებელია.

ამირანი და ბადრი აქტიურად მონაწილეობენ ქვეგანაყოფისა და ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მხატვრულ თვითმოქმედებაში. მხედრული მოვალეობის

სანიმუშო შესრულებისათვის ხარდლობამ რამდენჯერმე წაახალისა ისინი.

მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით დიდი მადლობა გადავუხადო ბადრიძეების მშობლებს — იზოლდახა და გიორგის ჯარგი შვილების აღზრდისათვის.

ა. სკაძენიკი,

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

მეცხრიერება — წარმოებას

უნდა გამოვყოთ ლიმონის წარმოების პროგრამა, რომლის ფილიც ციტრუსის საერთო მოცულობაში ახლა ყოვლად უმნიშვნელოა: სულ 0,4 პროცენტი 1946 წლის 15 პროცენტის ნაცვლად. არადა, სწორედ ლიმონია ციტრუსებს შორის უძვირფასესი. დღეს ამოცანად ვსახავთ: ყოველწლიურად მივიღოთ 500 მილიონი ცალი და მეტი ლიმონი“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმის მასალებიდან.

ლიმონარიუმების სუფსის ნაპირზე

□ □

მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირზე, ნაძვისა და კრიატომერიის რიგებს იქით ლიმონის ნორჩი, ხასხასა ნარგავები წალკოტს მოგაგონებთ. ვინც აქ წინათ არ ყოფილა, არც კი დაიჯერებს, რომ ხიდმაღალას ეს ადგილი ჯაგნარითა და გაუვალი ეკალბარდით იყო დაფარული. ახლა კი ორი ათასი ლიმონის ნარგავი ამშვენებს აქაურობას!

ამ კარგი და საშვილიშვილო საქმის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი გახლავთ ამ სოფლის მკვიდრი და მოჭირნახულე ბიძინა სარჯველაძე.

რით გამოირჩევა იგი სხვებისაგან? — ოქროს ხელი აქვსო ბიძინას, — ამბობენ სუფსაში, ხიდმაღალაში, ჩორხათში, ღრმაღელეში, მთელ ლანჩხუთის რაიონში. თავისი სოფლისა და თანასოფლელებისადმი დიდმა სიყვარულმა და ზრუნვამ, სიახლისადმი სწრაფვამ და ლტოლვამ ნოვატორად აქცია იგი. ბევრი მიმდევარი და მიმბაძველი გაიჩინა. თითოეული ძირი ლიმონიდან ოთხას-ხუთას ცალ ნაყოფს იღებს. ასეთი ხე კი მის ხუთას კვადრატულ მეტრ საკარმიდამო ნაკვეთზე ასი ძირია!

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ბიძინა თავის მშობლიურ სოფელს რომ დაუბრუნდა, კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად დანიშნეს. სამი წლის შემდეგ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ეს იმ დღიდან, როდესაც შეარჩიეს სადისერტაციო თემა—კოლხეთის ათვისების საკითხებზე — ინტენსიურად დაიწყო კვლევითი მუშაობა ანასეულის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზებში.

მისი დიდი ხნის საზრუნავი და საფიქრალი იყო ისეთი ძვირფასი მცენარე, როგორიც არის ლიმონი. ცნობილია, რომ რამდენადაც სამკურნალო და დიეტური იგი, იმდენად სათუთი და ნაზია ყინვებისადმი. დასავლეთ საქართველოს გლეხკაცობას დღესაც. არ დავიწყებია 1939-1940 წლების სუსხიანი ზამთარი, როცა ერთობ დაზიანდა ციტრუსის ბაღები, არც ათი წლის შემდეგ ყინვებმა დაიყარა ხეები. ყინვა დამლუპველი აღმოჩნდა სუფსის მიკროორაიონისათვის. ამიტომ იყო, რომ ამ ზონის კოლმეურნეობებმა და პირველ რიგში მოსახლეობამ თითქმის ხელი აიღეს ციტრუსების გაშენებაზე.

როგორ ეშველა, როგორ გადაერჩინა, ლიმონი? სპეციალობით ეკონომისტმა, მან კარგად შეისწავლა მცენარის ბიოლოგია, მისი მოთხოვნილება ნიადაგისა და საკვები ელემენტებისადმი, ნიადაგის მჟავიანობა, სასუქების შეტანის წესები და დოზები, ლიმონის გაშენებისა და მოყვანის ახალი წესი შეიმუშავა და მარტივი ტიპის გამოსაზამთრებელი ლიმონარიუმი მოაწყო. შიგ დარგო სამოცდათხუთმეტი ძირი „მაეერის“ ჯიშის ლიმონი. ნარგავობას ორგელივ კარკასები გაუკეთა, კედლები შემინა, ხოლო სახურავად ჰაერგამტარი პოლიეთილენი გამოიყენა. მცენარის კვებისა და მავნებელ-ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდი შეიმუშავა.

სამი წლის მანძილზე ცდიდა და იკვლევდა, შვილვითი უვლიდა თითოეულ ნარგავს. სამ წელიწადს დაძაბულად, ენერგიულად შრომობდა. ექსპერიმენტებითა და ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზით გამოარკვა, რომ ლიმონარიუმის ჰაერგამტარი პოლიეთილენით გადახურვამ ხელი შეუშალა მცენარის ნორმალურ ვეგეტაციას, რადგან ტემპერატურა ერთობ ცვალებადი იყო. წარუმატებლობამ ბიძინას თავის განზრახვაზე ხელი როდი აიღებინა, დწმენა როდი დაუკარგა! პირიქით, კიდევ უფრო ენერგიულად მოჰკიდა ხელი საქმეს.

ერთი წუთითაც არ შორდებოდა გონებიდან დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინების წყურვილი. იმედით ცოცხლობდა, იმედით სულდგმულობდა. კვლავ-ძიება, ცდები, ანალიზები, დასკვნები კვლავ დღის წესრიგში იდგა. ლიმონის გამოზამთრებასთან ერთად შეისწავლა ის ხარვეზები და ნაკლოვანებები, რომლებმაც ხელი შეუშალა დადებითი შედეგების მიღებაში. ციხის ძირის ლიმონარიუმისა და წლების მანძილზე დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე შეიმუშავა მარტივი ტიპის გამოსაზამთრებლის ახალი პროექტი. ნარგაობა ჰაერგამტარი პოლიეთილენის ნაცვლად ჰაერგამტარი ქსოვილით გადახურა, ეი ეს იყო სიახლე, მეტად შედეგიანი და იმედიანი.

ეს 1965 წელს მოხდა. მესამე წელს ლიმონარიუმში პირველი მოსავალი — თითო ძირზე 23 ცალი ნაყოფი მიიღო. ყოველწლიურად უმჯობესდებოდა და იხვეწებოდა მუშაობის მეთოდი, ყოველწლიურად იზრდებოდა მოსავლიანობა; განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიწია მეათე ხუთწლედის პირველ წელს — თითო ძირზე 350 ცალი ლიმონი. მთელი ნარგაობიდან 26 ათასი ცალი ლიმონი სახელმწიფოს მიჰყიდა.

ამ მეთოდის უპირატესობა რომ ღირსეულად შეეფასოთ, ერთი მაგალითიც კმარა: მთელი ლანჩხუთის რაიონის კოლმეურნეობათა 8 ჰექტარი ჩვეულებრივი პლანტაციიდან ყველაზე მოსავლიან 1975 წელს 25 ათასი ცალი ლიმონი მოკრიფეს. შარშან მოსავალმა ყოველგვარ მოლოდინს გადაჯაბრა — 50 ათასი ცალი ნაყოფი მიიღო, ანუ ჰექტარზე გადაანგარიშებით მილიონი ცალი!

პირველ წელს თითო ძირზე 23 ცალი ლიმონი მიიღო, შარშან კი — 600 ცალი. როგორც ვხედავთ, კომენტარი ზედმეტია.

ლიმონის მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალ, პროგრესულ მეთოდს არა მარტო ვეგეტაციის პერიოდში, არამედ ზამთარ-ზაფხულს, წელიწადის ყველა დროში მიმართავს. შესაწამლი პრეპარატი „ბ-58“ ხმარებიდან ამოიღო, ვინაიდან ცდებით დადგინდა, რომ იგი ფოთლის ცვენას იწვევს, — და მის ნაცვლად კარბოფოსს უმატებს შესაწამლ ხსნარს.

კიდევ რა არის ამ მეთოდის უპირატესობა? ეს წესი მარტივი და მოსახერხებელია, ყველა კოლმეურნეს შეუძლია მისი გაკეთება, არავითარ სირთულესთან არ არის დაკავშირებული, „მაეერის“ ჯიშის ერთწლიანი ნერგები ოთხ მწკრივად ირგვება 5 კვადრატულ მეტრ კვების არეზე. ჰაერგამტარი ქსოვილი კარკასებზეა გადაჭიმული, ხოლო გვერდები შემინულია. სიმაღლე ცენტრში 3 მეტრს აღწევს, ხოლო: გვერდებზე — 2,5 მეტრს.

თითო ცალი ნაყოფი ერთი კაპიკიც კი არ ჯდება, ანუ ჩვეულებრივ პლანტაციაში მოწეულთან შედარებით ათჯერ ნაკლები. ეს ამ დროს, როცა შუა აზიის რესპუბლიკაში, სადაც ქართველი სპეციალისტების დახმარებითა და ხელის შეწყობით ავრცელებენ ლიმონს (ტრანშეებსა და სათბურებში), თითო ცალი ლიმონი 20-25 კაპიკი უჯდებათ.

ბიძინას მრავალი მიმდევარი და მიმბაძველი გამოუჩნდა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საქმით დაინტერესდა, მისი ახლო მეზობელი **ზაურ შარიქაძე** იყო. ზაურმა ეზოს მარჯვენა მხარეს ლიმონარიუმი მოაწყო. ორმოცდათი ძირი „მაეერის“ ჯიშის ლიმონი გააშენა და გაახარა. ფოთის ტორფის ქარხნის ინჟინერს ამ სასუქის მნიშვნელობა და გამოყენების წესები სხვისგან არ ესწავლება.

ზ. შარიქაძე ყოველწლიურად 15-20 ათას ცალ ლიმონს იწვნევს. გაზაფხულზე აყვავებული ნარგავების გვერდით ნაყოფით დაბუნძულები ხეებია. ვახუშტი ბატონიშვილისა არ იყოს, ნარინჯ-ფორნეულის წალკოტს მოგაგონებთ აქაურობა. ესეც ამ მეთოდის სიკეთეა, მთელი წლის მანძილზე რომ შეგიძლია შეინახო ნაყოფი ხეზე და დატკბე მისი სიკეთით. მისი მიმდევარია აგრეთვე **ტარე დოლიძე.**

ბ. სარჯველაძის ახალი მეთოდი, მისი სამეცნიერო კვლევითი შუმაობის მრავალ წლის გამოცდილება უყურადღებოდ არ დარჩენილა. მას ფართოდ გამოეხმაურა ლანჩხუთის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობა, საფუძვლიანად შეისწავლეს ექსპერიმენტის შედეგები, ეკონომიკური ეფექტიანობა და, რაკი დარწმუნდნენ მის დიდ უპირატესობაში, ეხვეი და იაფი პროდუქციის მიღების რეალობაში, შარშანწინ სპეციალისტებთან ერთად მოიწვიეს თათბირი. იმავე წლის ნოემბრის თვეში გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯი. შეარჩიეს ჯაგნარითა და ეკალბარდით დაფარული მიწის ფართობი. დაიწყო ამოძირკვა-გასუფთავება. გაიჭრა პირველი კვალი, სწრაფი ტემპით შესრულდა სამუშაოები, შეიტანეს ორგანული და მინერალური სასუქები, გაშენდა დაფნისა და ნაძვის ქარსაფარი ზოლი, გაიყვანეს გზები, და შარშან თებერვალ-მარტში ერთ ჰექტარ ფართობზე გაშენდა 2 ათასი ძირი ლიმონი.

ლიმონარიუმის სიკეთე აწერია ახლა ყველას პირზე. ყოველწლიურად უფრო მეტ მასშტაბს ღებულობს ახალი წესით ლიმონის გამოხადმარება.

წლების მანძილზე თვალყურს ვადევნებდი ბ. სარჯველაძის ახალ მეთოდს. ახლა უკვე კოლმეურნეობის ლიმონის ნარგავები უფრო მეტაცებდა, მისი ფართო მასშტაბები როგორ ნაყოფს გამოიღებდა დიდ ფართობზე. ჩვენი ნარკვევის გმირიც იქ დაგვხვდა, ხელებდაკაპიწებული. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტს ნამდვილი გლეხკაცის ხელები აქვს, დაძარღვული, მიწასთან ჭიდილში ნაწრთობი და ნაჯაფარი. ბრიგადის წევრებს კონსულტაციას უწევდა სასუქების დოზების დაზუსტების შესახებ. საამო სანახავია გზის გადალმა კოლმეურნეობის ლიმონის ბაღი. არავინ დაიკერებს, რომ ნარგავები ერთი წლისაა. ეს კარგი მოვლისა და სასუქებით განოყიერების შედეგია.

წელს შემოდგომაზე კიდევ ოთხ ჰექტარზე 8 ათასი ძირი ნერგი დაირგება. საამისოდ უკვე ყველაფერი მზად არის, პლანტაციის შესასვლელთან ნაკელის გროვები დგას. აქ ხომ ახლახან მეცხოველეობის კომპლექსს ჩაეყარა საფუძველი 5000 სული მსხვილ-ფეხა [illegible] ეს კი [illegible] ერთ ჰექტარ ტერიტორიას [illegible] ორ-[illegible] ორ წელიწადში კიდევ 5 ჰექტარზე გაშენდება [illegible] ბაღი. [illegible] ბაღალება მთლიანად შესრულდება.

გაზაფხულზე სუფსის ლიმონარიუმი დაათვალიერეს კვალიფიციური სპეციალისტების ჯგუფმა. სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა პარტიულ აქტივთან ერთად. მათ ერთხმად აღიარეს ბ. სარჯველაძის მეთოდის დიდი უპირატესობა, 15-20 წლის მანძილზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პრაქტიკული გამოცდილების დიდი წარმატება. განზრახულია ახლო მომავალში ლანჩხუთის რაიონში შეიქმნას სპეციალიზებული ლიმონარიუმი 300-350 ჰექტარზე, საიდანაც სრული მსხმოიარობის პერიოდში 300-350 მილიონ ცალ ლიმონს მიიღებენ. ლიმონის დამტვერვის მაღალი ინტენსივობის მიზნით ყოველ ჰექტარზე 5-6 ფუტკრის ოჯახია გათვალისწინებული. ლიმონის ყვავილის თაფლი ხომ განოქმულია თავისი დიეტური და სამკურნალო თვისებებით. დაგეგმილია საკონსერვო ქარხნის შენებლობა. აღნიშნული ღონისძიებით საფუძველი ჩაეყრება მეცნიერულად გამართლებულ ერთ-ერთ პირველ აგროკომპლექსს სუფსაში.

კოლხეთის დაბლობზე აღნიშნული ტიპის ლიმონარიუმი შეიძლება გაშენდეს 4-5 ათას ჰექტარზე, საიდანაც დიდ წმინდა შემოსავალთან ერთად მიღებული იქნება ათასობით ტონა ლიმონის ნაყოფი, რაც მოსახლეობის მოთხოვნების სამამული წარმოების ლიმონით დაკმაყოფილების ერთ-ერთი სწორი გზაა და გამართლებულია იმით, რომ იქვეა ტორფის მდიდარი საბადოები და მეცხოველეობის გაერთიანება. ეს კი დღის წესრიგში აყენებს ლიმონის შესაფუთი და წვენების ქარხნების მშენებლობის საკითხს.

— აი მომავალი ლიმონარიუმის ჰექტრები, — გაჰყურებს ბიძინა მდინარე სუფსის მარცხენა სანაპიროს და ენახ ფიდი პერსპექტივები ესახება, — სულ ლიმონით დაფარება აქაურობა და იმდენ მოსავალს მივიღებთ, რომ მთელი წლის მანძილზე ექნება ჩვენს ხალხს ეს ძვირფასი ნაყოფი.

თ. ჯინჯიხაშვილი,

ლანჩხუთის რაიონი, სუფსა.

მეტი ბოსტნეული — მშრომელთა სუფრას

იქნება მეორე მოსავალი

ბოლნისის რაიონის სარაჩლოს საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეებმა გადამეტებით შეასრულეს კარტოფილის დამზადების გეგმა. მოსავლის აღებასთან ერთად აქ კარტოფილის მეორე მოსავლის მოლების სამუშაოები მიმდინარეობს. აქაური მებოსტნეები ჰექტარზე 100 ცენტნერის მიღებას ვარაუდობენ და თბილისის და რუსთავის მშრომელებს ოქტომბრის დღესასწაულისათვის კარტოფილის მეორე მოსავალს გაუგზავნიან.

სურათებზე: კარტოფილის მექანიზებული აღება სარაჩლოს საბჭოთა მეურნეობაში; მეათეკლასელები გ. მამედოვა და ფ. მამედოვა, რომლებიც ზაფხულის არდადეგების დროს სარაჩლოში კარტოფილის მოვლა-მოყვანაზე მუშაობდნენ.

ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

კურორტი და დამსვენებელი

ხმა უწერიდან

უწერაში თავბრუდამხვევი სურნელი ტრიალებს. ფუტკრებს რთველი დასდგომიათ. დამსვენებლები ხარბად ისუნთქავენ წიწვნარებში დაწმენდილ დათაფლულ ჰაერს.

უწერა — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი კურორტი, კიდევ ერთხელ იხდის ვალს ხალხის წინაშე. ათასამდე დამსვენებელი მოსულა აქ და ეწაფება მეცოცხლებელ წყაროებს. ვისაც ბედი გაუღიმებს და ერთხელ მაინც ამ მადლიან მიწაზე ფეხს დაადგამს, ის ვეღარ შეელევა აქაურობას, ყოველ წელს შეეცდება მოვიდეს და სიცოცხლე გაიხანგრძლივოს.

სწორედ ამიტომ არის, რომ უწერაში დამსვენებელთა რიცხვი წლითიწლობით იზრდება. დიდი და საპატიო საზრუნავი უჩნდება კურორტის დირექციას. თანამედროვე კომფორტული სანატორიუმი „ფაზისი“ სულ 200-ადგილიანია და ამჯერად ღონიერ სკასავით არის გამოტენილი. მოდიან ოჯახები, დედები, ბავშვები... უკან წასვლა არავის უნდა. მდგომარეობა რთულდება, სიძნელეები სიძნელეებს ემატება. შარშან მთელი ორომტრიალი იყო, იწერებოდა საჩივრები... წელს კი შედარებით სიმშვიდეა, კურორტის ახალმა ხელმძღვანელობამ (მთავარი ექიმი — თ. ჯაჭვლიანი) კარგად გაართვა თავი რთულ ვითარებას. დაძაბულად და რიტმულად მუშაობს კვების ბლოკი, ეფექტიანად მიმდინარეობს სამკურნალო პროცედურები, წესრიგია საბაზაზე. მაგრამ სანატორიუმის მუშაობას ძალიან ართულებენ არორგანიზებულად მოსული დამსვენებლები. ისინი აქ ოდესღაც „ორგანიზებულად“, ე. ი. საგზურებით ისვენებდნენ. როცა უწერის სიკეთე იგრძნეს და საგზური ვეღარ იშოვეს, იძულებული გახდნენ თავიანთი შესაძლებლობით ჩამოსულიყვნენ. არა, მათ ზურგს ვერ შეაქცევს სანატორიუმის მედიპერსონალი, თუმცა რამდენ ერთს გაწვდებიან? ამიტომ უამრავი პრობლემაა წამოჭრილი, რომელთა გადაწყვეტა საშური და გადაუდებელია. ერთადერთი სანატორიუმი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, მისმა ამშენებლებმა ბევრი დეფექტი და ძმიერკვა, რომ ღონიერობა დატოვეს: ცუდად მუშაობს წყალსადენი და თავიდანვე პარალიზებული კურორტის ჰიგიენურ-გასაწმენდი მოწყობილობა. ანტისანტარია ღრეობებრივ გარემოს არა მარტო აფუჭებს და აბუჭყიანებს, არამედ ფასნებოვნების ღია კერებს ქმნის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთო, კურორტს არც ერთი საზოგადოებრივი ტუალეტი არ გააჩნია.

კარგა ხანია უწერაში იგრძნობა დიეტური სასადილოს საჭიროება. ახალი სანატორიუმის აშენებამდე აუცილებელია დროებითი კოტეჯები მაინც აიგოს, რითა ღამის გასათევი ადგილი დანასისხლად არ იყიდებოდეს. კურორტს არა აქვს სახაფხულო კინოთეატრი, ესტრადა... სანატორიუმის კლუბი მაყურებელს ვერ იტევს, ხალხი უმეარობით იხრჩობა. რაც შეიძლება მალე უნდა აშენდეს უკვე დაპროექტებული საბაგირო გზა და ა. შ.

საერთოდ, უწერა დიდი მომავლის კურორტია. მსოფლიოში ალბათ იშვიათია ასეთი კომბინირებული ხასიათის ჯანმრთელობის კერა. აქ ეფექტიანად მკურნალობენ კუჭ-ნაწლავის, სისხლძარღვთა და ნერვული სისტემის დაავადებებს, რადიკულიტებს, მიოზიტებს და ა. შ. ვინ იცის, რამდენ ავადმყოფს მოუტანს შვებას ეს ჯანსაღი ჰაერი და საასწაულმოქმედი მინერალური წყლები. ჰოდა, რა დასანანია, რომ მილიონობით ლიტრი ძვირფასი სამკურნალო წყალი გამოუყენებლად იღვრება.

დღეს, როდესაც ჩვენი პარტიის და მთავრობის ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას, უწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ის მშრომელთა გაჯანსაღების მძლავრ კერად უნდა იქცეს. ეს ამოცანა სისხლხორცეულად შეესაბამება საქართველოს მთიანი რეგიონების განვითარების პერსპექტივებს, სახელდობრ, ონის რაიონის შემდგომი განვითარების ყოველმხრივ გამართლებული და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, უმთავრესი გზა კურორტმშენებლობაა. ამის შედეგად ეფექტიანად იქნება ათვისებული ადგილობრივი საშენი მასალა (სხვადასხვა ტიპის საუკეთესო ქვები, ქვიშა, ხეტყე). მთელი წლის განმავლობაში დასაქმდება მოსახლეობა, რაც საგრძნობლად შეამცირებს მიგრაციის პროცესს.

კურორტების მოთხოვნილებამ უნდა განსაზღვროს საბჭოთა მეურნეობათა პროფილი (ხორცი, რძე, რძის ნაწარმი, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი, ყურძნის წვენი და სხვა). გარდა ამისა, ორგანიზებული წესით უნდა ხდებოდეს მოსახლეობისაგან დამსვენებელთათვის ჭარბი პროდუქტების მიწოდება.

უწერა — ბუნების უძვირფასესი, უფრო სწორად — ფასდაუდებელი საჩუქარია. მას გაცილებით მეტი მზრუნველობა, მოვლა-პატრონობა სჭირდება და იგი ნატვრისთვალივით ასაგად აგვინაზღაურებს.

ლ. ფრუიძე.

კურორტი უწერა.

გუშინ მივიღეთ

მკითხველის კალმით

გამოფენა მამისონზე

ონი. ამ დღეებში მწყემსებს მამისონის ალპურ ხაძოვრებზე რაჭის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მუშაკები ესტუმრნენ. მათ მთებში აიტანეს რაიონის მხატვრების ნამუშევრები და ლია ცის ქვეშ სახელდახელო გამოფენა მოაწყვეს. ყველა ინტერესით ათვალიერებდა მხატვრულ ნაწარმოებებს. მუზეუმის თანამშრომლები ქ. ჯაფარიძე, ჭ. გოცირიძე და ნ. ბენდიანიშვილი დამთვალიერებლებს წარმოდგენილი ნახატების შესახებ ესაუბრნენ.

ჩ. ჩაკვეტაძე.

სოფელი დამშვენდა

თელავი. № 4 სამშენებლო სამმართველომ წინანდალელ მშრომელებს კარგი საჩუქარი მოუმზადა — ახალი ბიბლიოთეკის შენობა.

წიგნის მოყვარულთათვის ბიბლიოთეკის კარი ფართოდ გაიღო.

მ. ჟიჟიაშვილი.

უფროსების მხარდამხარ

ქუთაისი. ა. წერეთლის ხაზელობის მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წარმატებით დაამთავრეს მეხუთე შრომითი სემესტრი. ისინი ქუთაისის მაუდის ფაბრიკაში უფროსების მხარდამხარ მუყაითად შრომობდნენ. მოსწავლეებმა ერთ თვეში 13689 მეტრი შალის მაუდი გაწმინდეს და ფაბრიკის მუშებისა და დირექციის მადლობა დაიმსახურეს.

ახალ სასწავლო წელს მეორე საშუალო სკოლის მოსწავლეები შინარსიანი შრომისა და დასვენების შემდეგ მშობლიურ სკოლას ახალი ენერგიით დაუბრუნდნენ.

ი3. ბუხაიძე.

მშრომელთა სამსახურში

ტყიბული. საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე მუშათა მომარაგების განყოფილებამ გახსნა ახალი მაღაზია, სადაც სხვადასხვა სახის ფასდაკლებული საქონელი იყიდება.

ი. შარაბიძე.

სტუმრად ენგურჰესელებთან

წალენჯიხა. საქართველოს პროფსაბჭოს კულტსახლთან არსებული ანსამბლი ამას წინათ ჯვარხნის დასახლებაში ენგურჰესელებს ესტუმრა. მათ ენგურჰესის მშენებლობა დაათვალიერეს და მშრომელებს საშეფო კონცერტები გაუმართეს.

ლ. ბარაქაია.

ადამიანი და შრომა

სახელოვანი ტრადიციებით

შარშან სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული წარმატებისათვის თბილისის უძველეს საწარმოს — ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ეს წარმატება ქარხნის რეკონსტრუქტიული ტრადიციის ხორცშესხმაა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ახალგაზრდობასთან ერთად მოწინავეთა რიგებში ვხედავთ შრომის ვეტერანებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთი ძალ-ღონე შრომას, მოქალაქეობრივი ვალის მოხდას შეალიეს. მათი რიცხვი აქ 266-ს შეადგენს. არიან ისეთებიც, რომლებმაც 30-40-50 წელი იმუშავეს უწყვეტად. ერთ-ერთი ასეთთაგანია სახელოვანი მეჭედელი, სოციალისტური შრომის გმირი კონსტანტინე ილურიძე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა ქარხანაში მუშაობს.

თავის ცხოვრებაზე, განვლილ გზაზე ილურიძე გულწრფელად, სადად გამამბთ.

— მუდამ იმას ვცდილობდი, გულით მემუშავა, ძალ-ღონეს არ ვზოგავდი, სხვაგვარად არც შეიძლება. ჩვენს ქვეყანაში შრომელი კაცი მზრუნველობით არის გარემოსილი. ამაზე ნათლად ილაპარაკა ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა პროფკავშირთა XVI ყრილობაზე. მე ბედნიერება მხვდა ვყოფილიყავი ამ ყრილობის დელეგატი.

45 წლის წინათ დაიწყო ხარატად მუშაობა საწარმოო განყოფილების უფროსმა ვიქტორ რთველაძემ. მრავალი წელია მის გვერდით იღვწის მეუღლეც. შრომითი მადლობა მიიღო ვაჟიშვილმაც.

ორმოცდახუთი წელია ქარხანაში მუშაობს ელექტრომაღური საამქროს უფროსი, რესპუბ

პარტიული კადრების სკოლა

(დასასრული)

სტრუქტურა, სამეურნეოობათაშორისო ურთიერთობის რთული სისტემა, საწარმოო გაერთიანებებისა და კომბინატების ფართო განვითარება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენით სახეს იცვლის მატერიალური წარმოება, ახლდება ტექნიკა და ტექნოლოგია. სხვაგვარი ხდება შრომის პირობები და ხასიათი.

წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაცია, მისი ეფექტიანობის ამაღლება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება ჩვენი საშინაო პოლიტიკის ცენტრში დგას. ეს მიგვაჩნია მეათე ხუთწლედის არა მარტო მთავარ ამოცანად, არამედ ჩვენს მომავალი ეკონომიკური და სოციალური განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორადაც. სწორედ ამ თვალსაზრისით მუშაობს პარტია საბალო მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის, სახელდობრ კი სწორედ ამისათვის წარმართავს მთელ ხელმძღვანელ კადრებს.

პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების გზაზე დიდი ნაბიჯი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის იულისის პლენუმი. მის მიერ დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ქმნის პერსპექტივას, რომ სოფლის მეურნეობა გადაიქცეს სოციალისტური ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად, რომელიც შეძლებს უფრო სრულად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნილებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე.

ჩვენმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, რომლებიც ეკონომიკური განვითარების ინტენსიფიკაციისა და მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფის გზს ადენენ, დიდი დაღებითი გამოცდილება შეიძინეს. მაგრამ არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ ამ დიდ მუშაობას ჯერ კიდევ აქვს თავისი სიძნელეები. ზოგიერთ მთავარს ობიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად. ზოგი კი მუშაობის ხარვეზებისა და ნაკლოვანებების შედეგია, ესე იგი იგი სუბიექტური მიზეზების შედეგი. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ყოველგვარ სიძნელეთა დასაძლევად საჭირო თითოეულ მუშაკს ღრმად ესმოდეს წამოჭრილ პრობლემათა არსი, გამოიმუშაოს მათი კვალიფიციური გადაწყვეტის უნარი. ამიტომ საჭირო აღარ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად აუცილებელია თანამედროვე პირობებში, რომ ყოველი ხელმძღვანელი დღეიდან იმდიღრებდეს ცოდნას, გადაწყვეტილებ სრულყოფდეს საქმიანობის მეთოდებს, სწავლობდეს მის წინაშე დასახული ამოცანების ოპტიმალური გადაწყვეტის გამოძებნას.

ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესების მჭიდრო ურთიერთკავშირი მოითხოვს, რომ ხელმძღვანელმა კადრებმა საფუძვლიანად იცოდნენ მარქსისტულ-ლენინური თეორია, ჰქონდეთ ფართო იდეურ-პოლიტიკური ჰორიზონტი, დაეუფლონ მასებში ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობის ხელოვნებას, ფარი შესწევდეთ დაინახონ და ითვალისწინონ — გადაწყვეტილებათა არა მარტო ახლოფელი, არამედ შორეული შედეგებიც. თანამედროვე ხელმძღვანელისათვის დამახასიათებელი უნდა იყოს მაღალი პარტიული პრინციპულობა და პასუხისმგებლობა, ნაკლოვანებებისადმი, დამყაყებულობისა და რუტინისადმი შეურიგებლობა, მინდობილი საქმისადმი ნოვატორული დამოკიდებულება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა მეცნიერული პოლიტიკაა. მისი საფუძველია ეკონომიკური საზოგადოებრივი განვითარების ღრმა შემეცნება, იგი ყოველმხრივ ითვალისწინებს როგორც ქვეყნის საშინაო ცხოვრების მრავალფეროვან პირობებს, ისე საერთაშორისო ურთიერთობის მთელ სისტემასაც.

თქვენ ყველამ იცით, ამხანაგებო, თუ რა უდიდეს ყურადღებას უთმობს ჩვენი პარტია საერთაშორისო საკითხებს. იგი თანამედროვეობად ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებულ ლენინურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

ჩვენს საგარეო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობის შეკავშირებისა და ძლიერების განმტკიცებას. ამხანაგ ლ. ი ბრეჟნევის ამასწინანდელი ყირიმის შეხვედრები მოძმე პარტიათა ხელმძღვანელებთან უეჭველია ხელს შეუწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პარტიების, მთავრობათა და ხალხების ძმური მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში.

მსოფლიო ასპარეზზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მოძმე პარტიების აქტიური, შეთანხმებული საქმიანობა ემსახურება ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების, იმპერიალიზმის მიერ თავსმოხვეული ძალადობის გამომლვი გამაღლებული შეიარაღებისა და თერმობირთვული ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრებისა და შემდგომი გაღრმავების, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პრინციპების მაღალ ჰუმანურ მიზნებს.

საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები განუხრელად უჭერენ მხარს ხალხთა ბრძოლას ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის. ჩვენი მოძმე პარტიები ყოველ ღონეს ხმარობენ საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცებისა-თვის პროლეტარულ მარქსისტულ-ლენინურ საფუძველზე.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას ახასიათებს მოვლენიების რთული, წინააღმდეგობრივი განვითარება. მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას, კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისს გამწვავების პირობებში იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ყველაზე რეაქციული წრეები ცდილობენ ყველა მოწამლონ საერთაშორისო ატმოსფერო, გააძლიერონ გამაღიზიანებელი შეიარაღება და დაბრუნონ „ცივი ომის“ გაკოტრებული პოლიტიკა, ძირი გამოუთხარონ სოციალისტური თანამეგობრობის, ეროვნულ-განთავისუფლებელი ძალების პოზიციებს. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ზოგიერთი სხვა ქვეყნის რეაქციული წრეები ცდილობენ სხვადასხვა საბაბით ჩაერიონ სოციალისტურ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციულ წრეებთან ერთად, როგორც საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის საქმის, ეროვნული განთავისუფლებისა და სოციალიზმის აშკარა მოწინააღმდეგენი, ბოქმდებენ პეკინის მმართველები, რომლებიც ისახავენ შორს გაბიზნულ ჰეგემონისტურ და ექსპანსიონისტურ მიზნებს.

მაგრამ სოციალიზმის განვითარების ისტორიული მსვლელობა შეუქცევადია. სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობლივი მოქმედება, რომელსაც მხარს უჭერენ თანამედროვეობის მთელი პროგრესული, მშვიდობისმოყვარე ძალები, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის განმტკიცების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ახლა ჩვენს წინაშე დგას უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომლებსაც განსაზღვრავს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის კლასობრივი ხასიათი: ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად გულმოდგინედ ვეცადოთ დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებას, გამალებული შეიარაღების შეწყვეტას, საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალიზმისა და რეაქციის აგრესიულ ხრიკებს, მხარი დავუჭიროთ თანამედროვეობის მთელ პროგრესულ ძალებს.

უკანასკნელ ხანს იმპერიალისტური რეაქციის ძირგამომთხრელი მოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი გაზრდილი გაწაფული იდეოლოგიური დივერსიები, რომელთა მიზანია საერთაშორისო ატმოსფეროს მოწამვლა, ფსიქოლოგიური ომის, ანტიკომუნისტური, ანტისაბჭოთა ისტერიის გაუვიდეება. ყველა ჯურის რეაქციული იდეოლოგები, ისევე როგორც სხვადასხვა ყაიდის ოპორტუნისტები, ცდილობენ ჩირქი მოსცხონ სოციალიზმის თეორიასა და პრაქტიკას, შეაფერხონ ჩვენი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

ეს მოითხოვს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის დონის შემდგომ ამაღლებას. ჩვენი ხელმძღვანელი კადრები უნდა ერკვნენდნენ საერთაშორისო პოლიტიკის ყველა სირთულეში, სწორად აფასებდნენ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ეს კი მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ღრმა ათვისების მეოხებითაა შესაძლებელი. ჩვენ მრწამსვე რევოლუციური თეორიით შეიარაღებულნი დაუცხრომლად უნდა ვიბრძოდეთ ყველა კლასობრივ მოწინააღმდეგის იდეოლოგიის დარგში, ვიპყრობდეთ მრავალი მილიონი ადამიანის გონებასა და გულს ყველა კონტინენტზე ახალი საზოგადოებრივი წყობილების შთამაგონებელი მაგალითის ძალით და ჩვენი წყობილების უპირატესობათა, ლენინური იდეებისა და მიზნების სიდიადის მეზნებარე პროპაგანდით.

პარტიის განსაკუთრებული ყურადღების საგანი მუდამ იყო და არის მბრძოლველი აღზრდა კადრებისა, რომლებსაც აქვთ რევოლუციური თეორიის ღრმა ცოდნა, მაღალი პოლიტიკური და სპეციალური თვისებები, შეუძლიათ საქმე წარმართონ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე. თანამედროვე პარტიული მუშაკები ხომ არიან პროფესიონალ რევოლუციონერთა ლენინური გვარდიის მემკვიდრენი, ადამიანები, რომლებიც ბოლომდე ერთგულად ემსახურებიან ხალხის საქმეს, კომუნიზმის საქმეს.

კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში დიდი როლი ეთმობა პარტიულ სასწავლებლებს. მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ეს სასწავლებლები დაამთავრა მრავალმა ათასმა კაცმა, ამ ადამიანთა დიდი უმრავლესობა უნარიანად იყენებს შეძენილ ცოდნას, საქმეებით ამართლებს პარტიის ნდობას.

თავის საკადრო პოლიტიკაში, კადრების მომზადების ორგანიზაციაში პარტია ხელმძღვანელობს მათდამი მუდმივად მზარდი მოთხოვნებით, ითვალისწინებს დღევანდელობის მოთხოვნილებებსაც, პერსპექტივას. სწორედ ასე დასვა საკითხი სკკპ XXV ყრილობამ, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ახალ, უფრო მაღალ ღონეზე ავიყვანოთ კადრების მომზადება, უზრუნველყოთ პარტიული სასწავლებლების საქმიანობის შემდგომი სრულყოფა. „მთავარია, — თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა — მივაღწიოთ, რომ პარტიას ჰყავდეს გამოცდილი, თეორიულად მომზადებული ამხანაგების სულ უფრო ღირთო რეზერვი“.

ცენტრალური კომიტეტი აკადემიას აკისრებს უდიდესი მნიშვნელობის ამოცანას — მოამზადოს მაღალი კვალიფიკაციის ხელმძღვანელი კადრები ცენტრალური, რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ორგანოებისათვის. ცენტრალური იდეოლოგიური დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის.

საბჭოთა მსმენელებთან და ასპირანტებთან ერთად სწავლას იწყებს სხვა სოციალისტურ ქვეყნებიდან ჩამოსული ამხანაგების დიდი ჯგუფი, ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რა მჭიდრო კავშირია ჩვენს პარტიებსა და ქვეყნებს შორის. ჩვენ საერთო მიზნები, ერთიანი რევოლუციური მსოფლმხედველობა — მარქსიზმ-ლენინიზმი გვაქვს, რომელიც მოძმე პარტიებს მძლავრ ინტერნაციონალურ ძალად აკავშირებს. ცოცხალი ურთიერთობა, აზრთა ამხანაგური გაზიარება, ერთობლივი სწავლა შესაძლებლობას გვაძლევენ ღრმად შევისწაოლოთ სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის კოლექტიური გამოცდილება, შევიარაღდეთ ყოველივე ქვირფასით, რაც თითოეულ მოძმე პარტიას აქვს. ყოველივე ეს გვამდიდრებს, ხელს უწყობს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების განვითარების ტემპის დაჩქარებასა, ნება მიბოძეთ გულითადად მივესალმო ჩვენს მეგობრებს, ფუსურეთ დიდი წარმატებანი სწავლაში.

აკადემიის მუშაობის ახალმა, უფრო მაღალმა დონემ, თქვა შემდეგ მ. ა. სუსლოვმა, უწინარეს ყოვლისა გავლენა უნდა მოახდინოს სასწავლო პროცესის შინაარსსა და ორგანიზაციის ფორმებზე.

უწინარეს ყოვლისა აკადემია კადრებს უნდა აიარაღებდეს მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფუნდამენტური ცოდნით. ისტორიის მთელი მსვლელობა, რევოლუციური პრაქტიკა დამაჯერებლად ადასტურებს მარქსიზმ-ლენინიზმის სიმართლესა და დიდ ცხოველმყოფელ ძალას, მისი სხვადასხვა მოწინააღმდეგის ერთობლივი ძალისხმევა ვერ ერევა, რომ წიგნების კითხვამ, საუბრებმა და ლექციებმა, რასაც თქვენ სახელმწიფოს შესახებ მოისმენთ, შეგძინოთ უნარი ამ საკითხისადმი დამოკიდებული მიდგომისა, მხოლოდ მაშინ, დასძინა შემდეგ ვლადიმერ ილიჩ ლენინმ, შეგიძლიათ ჩათვალოთო, რომ საკმაოდ მტკიცე ხართ თქვენს რწმენაში და შეგიძლიათ საკმაო წარმატებით დაიცვათ იგი ყველას წინაშე და ყოველთვის. მოგვაქვს რა საზოგადოებრივ მოვლენათა არსის შეცნობის გასაღები, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა: „ყველაზე საიმედო, საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შეგიძინოთ ჩვენი ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დაკიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, არის ის, რომ არ დავიიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველი საკითხს შეეხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შეეხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამქვამად“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 29. გვ. 353-354, 555-556).

იმისათვის, რომ კადრების მომზადება მოაწყოს თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, აკადემიას აქვს ყოველივე საკმარი, და უწინარეს ყოვლისა ჰყავს კვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა, რომელსაც დიდი მეცნიერულ-პედაგოგიური და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება აქვს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია არის სასწავლო და სამეცნიერო ცენტრი. ჩვენი პარტიის თეორიის, გეგანტური რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის პრობლემების მეცნიერულ-კვლევითი დამუშავება საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება უნდა გახდეს. ამას პარტიის ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. საზოგადოებრივ განვითარებაში ყოველ ახალ ეტაპთან ერთად იზრდება ცხოვრების ახალი მოვლენების, აქტუალური ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიური და საერთაშორისო პრობლემების მეცნიერული გააზრების საჭიროება. და ამ თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერია მარქსისტულ-ლენინური აზრის განვითარებისათვის პარტიის თეორიული საქმიანობის თანამედროვე პერიოდი. პარტიული ყრილობების მასალებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის დოკუმენტებში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და პარტიის სხვა ხელმძღვანელთა ნამრომებში შემოქმედებითად არის დამუშავებული მეცნიერული კომუნიზმის თეორიის კარდინალური დებულებანი.

ჩვენმა პარტიამ სოციალისტური ქვეყნების მოძმე პარტიებთან ერთად შეიმუშავა განვითარებული სოციალიზმის კონცეფცია, რომელიც დიდი შემოქმედებითი წვლილი გახდა მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში.

ხელმძღვანელობდა რა ფუძემდებელი მარქსისტულ-ლენინური იდეებით, ღრმად გაანალიზა რა კონკრეტულ-ისტორიული ვითარება, პარტიამ თავის XXV ყრილობაზე შეიმუშავა ნათელი პოლიტიკური კურსი, გაწესაღვრა თანამედროვე პირობებში კომუნისტური მშენებლობის სტრატეგია და ტაქტიკა. საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული მონაპოვრები კომუნიზმის გზაზე, პარტიის ყოველისმომცველი თეორიული და პოლიტიკური მუშაობა კონცენტრირებულად აისახა სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში — განვითარებული სოციალიზმის, ნამდვილი სახალხო ხელისუფლებისა და ჰუმანიზმის საზოგადოების ძირითად კანონში.

პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის კოლექტიური თეორიული მუშაობა ჩვენი პოლიტიკის შემუშავების საფუძველი, ცხოვრების მიერ წამოყენებული პრობლემების გადაწყვეტის ნაკადი საშოალებაა. თავისი თეორიული აზრის თვალთახედვის არეში პარტიას მუდამ აქვს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავების, სოციალისტური ცხოვრების წესისა და მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფის ყველაზე აქტუალური პრობლემები. იგი დღენიადაგ თეორიულად აანალიზებს თანამედროვე მსოფლიო რევოლუციური პროცესისა და საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებას.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძირეული პრინციპებისადმი ერთგულება, შემოქმედებითი დამოკიდებულება რევოლუციური თეორიისადმი, უსაზღვრო ერთგულება ხალხისადმი, და მისი ინტერესებისადმი თანამიმდევრული სამსახური პარტიას შესაძლებლობას აძლევს პირნათლად ასრულებდეს საბჭოთა საზოგადოების წარმმართველი და მპარგანიზებელი ძალის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის პოლიტიკური ბელადის ისტორიულ როლს.

კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა, საზოგადოების სულიერი პოტენციალის გამდიდრება დიდად არის დამოკიდებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა დაკავშირებულ სილრმესა და რეკომენდაციათა დასაბუთებაზე, მეცნიერული კვლევის მთელი ფრონტის შემდგომ გაფართოებაზე. პარტია საზოგადოებათმცოდნეებისაგან მოელის, რომ ისინი ღრმად, გულდასმით გაანალიზებენ მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოების განვითარების უახლეს პროცესებს: მის საწარმოო ძალებს, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობას და საზოგადოებრივი შეგნების ყველა ფორმას. ამასთან განსაკუთრებით საჭიროა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის გამოყენებით გამოვიკვლიოთ სამშენაო და საერთაშორისო ცხოვრების იმ პროცესებისა და მოვლენების ხასიათი, რომლებსაც წინათ არ წაწყდომიარართ.

აკადემიას შეუძლია და კიდევაც უნდა აწარმოოს კვლევა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში მაღალ დონეზე. საჭიროა, რომ ეს მუშაობა განუყოფლად იყოს დაკავშირებული ცხოვრებასთან, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკის მოთხოვნილებებთან.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის შექმნის შემდეგ ახალ საფეხურზე ავა პარტიული და საბჭოთა კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მთელი სისტემა. ეჭვი არ არის, თქვა დასასრულ მ. ა. სუსლოვმა, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემია ღირსეულად შეასრულებს დაკისრებულ დიდ მნიშვნელოვან ფუნქციებს, მაღლა აღარის მეცნიერულობის, პარტიულობისა და მაღალი იდეურობის დროშას.

ამხ. მ. ა. სუსლოვმა აკადემიის მსმენელებს, ასპირანტებს, ყველა მუშაკს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა, დიდი წარმატებანი ჩვენი ლენინური პარტიისათვის, საბჭოთა სამშობლოსათვის, მშვიდობისა და კომუნიზმის დიადი საქმისათვის.

აკადემიის მსმენელთა, ასპირანტთა და მსმენელებელთა სახელით კრებაზე გამოვიდნენ ვ.ბ. მასალოვი, ნ. ც. რადეკი, პროფესორი ვ. გ. ლებედევი.

სიტყვიმ კრების მონაწილეებმა დიდი აღფოთებით მიიღეს მისასალმებელი წერილი პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. (საკდესი).

სოციალიზმი ეროვნული მიგლეფილებაა

სოციალისტური ოქტომბერი

1 სექტემბერი

ვიეტნამის მართალი საქმე

სოციალისტური ვიეტნამის დასაცავად, მის ეაყკაც ხალხთან ხოლიდარობისათვის, ვიეტნამის სოციალისტურ რესუბლიკაზე ჩინეთის შოვინისტური ზეგავლენის წინააღმდეგ იბრძვიან მისი მეგობრები — სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები, მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პროგრესული ძალები.

პრაღა. ამკარა ზეგავლენასა და შანტაჟს — პატარა ქვეყნებთან ურთიერთობაში პეკინის არსენალის ამ განუყოფელ ატრიბუტებს — მიმართავენ იმისათვის, რომ უარი ათქმევინონ ვიეტნამს თავის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, წერს ბრატისლავის გაზეთი „პრავდა“. სასაზღვრო საკონტროლო გასაშვებ პუნქტებში მომხდარი უკანონაკნელი ინციდენტები გვაიძულებენ სერიოზულად ჩავფიქრდეთ იმაზე, ნამდვილად და გულწრფელად ესწრაფვის თუ არა ჩინეთი ჩინური ერთვნების პირთა საკითხზე მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებას. სრულიად ცხადია, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობის ცდები ვიეტნამელებზე გაავრცელოს თავისი დიდმპყრობელური გეგმები, მარცხდება, რადგან ამ გეგმებს უპირისპირდება მამაც ვიეტნამელ ხალხთან მსოფლიოს ხალხთა მძლავრი სოლიდარობა.

ბაღდადი. ერაყის მშვიდობისა და სოლიდარობის ეროვნულმა საბჭომ გააკეთა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს ყველა ხალხსა და განმათავისუფლებელ მოძრაობას, ხელი შეუწყონ ვიეტნამის ეკონომიკის აღდგენის კეთილშობილურ საქმეს და მისი განვითარების გეგმების შესრულებას სოციალისტური საზოგადოების აშენების მიზნით. ეს განცხადება მან გააკეთა ვიეტნამელ ხალხთან საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით. ეს დღე ეწყობა 2 სექტემბერს — ეროვნული დღესასწაულის — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღეს, რომელიც 1976 წლიდან სოციალისტურ რესპუბლიკად არის გამოცხადებული.

სტოკჰოლმი. მამაცი ვიეტნამის დასაცავად და მის ხალხთან სოლიდარობისათვის გამოვიდა შვედ კომუნისტთა გაზეთი „ნორშენსფლამანი“. სარედაქციო სტატიაში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ ცილისწამების კამპანია, რომელსაც ჩინეთის ხელმძღვანელობა ეწევა, ბევრ რამეში ჰგავს 1938-39 წლებში ჰიტლერელთა მოქმედებას ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წინააღმდეგ. მაშინ ეს კამპანია მიმდინარეობდა ამ ქვეყნებში „გერმანელი უმცირესობის დაცვის“ დემაგოგიური ლოზუნგით. ჩინეთის ახლანდელი მმართველები ამგვარადვე იყენებენ ვიეტნამში მცხოვრებ ჩინური ეროვნების პირთა მათ მიერ გაბერილ საკითხს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევისათვის, იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ ვიეტნამში სოციალისტურ მშენებლობას.

დელი. ვიეტნამზე ზეგავლენის ერთ-ერთი ბერკეტია ჩინეთის მიერ ინსპირირებული კამპუჩიის შეიარაღებული პროვოკაციები ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ, აღნიშნავს ინდოეთის ყოველკვირეული „ნიუ-უეივი“. კამპუჩიის არმიის ჩინეთიდან მიღებული იარაღით აიარაღებენ, ვიეტნამის წინააღმდეგ აგრესიულ თავდასხმებს კი პეკინი გეგმავს და წარმართავს. მაგრამ ეს პროვოკაციული საქმიანობა, აღნიშნავს ყოველკვირეული, მიზანს ვერ აღწევს. ჩვენი პლანეტის მთელი პროგრესული ძალები ვიეტნამელი ხალხის მხარეზეა, ისევე როგორც ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ მისი ბრძოლის წლებში.

ვარშავა. ჩინეთის ახლანდელი ხელმძღვანელობის საგარეო-პოლიტიკური კურსი უწინარეს ყოვლისა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების წინააღმდეგ არის მიმართული, წერს „ტრიბუნა ლუდუ“. აშკარად ამ კურსის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა პეკინის ჰეგემონისტური პოლიტიკა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მიმართ. ვიეტნამის საწინააღმდეგო მოქმედების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა დამოუკიდებელ პოლიტიკას ატარებს ამ ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე. ეს ეროვნული ინტერესები ითვალისწინებს ვიეტნამის ურთიერთობა ინდოჩინეთის სამეზობლო ქვეყნებთან, ასევე ინდოეთთან, ასევე ინდოეთთან, ასევე ინდოეთ

სწავლა ინტერნაციონალური...

ბუშინ, პირველ სექტემბერს კვლავ ახმიანდა პირველი ზარი, — დაიწყო ახალი სასწავლო წელი.

საქართველოში მარტო 125 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელია, სადაც 200-მდე სხვადასხვა პროფესიას 50.000-მდე ახალგაზრდა დაეუფლება. ჩვენი ახალგაზრდობის გვერდით რესპუბლიკის პროფტექნიკურ სასწავლებელში პროფესიებს ეუფლებიან, შრომის ხიყვარულს სწავლობენ ვიეტნამელი ახალგაზრდებიც.

სურათზე: თბილისის № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეები (მარცხნიდან) — ვ. ცალკენაშვილი, უ. ასლამაზიშვილი, ვიეტნამელები — ვუ-კიმ-ჟი, ხუან-ჩუნგი, ჯან-ტი-ხუანი, ნ. გოლეთიანი, ზ. მწარაიშვილი, გ. გაბოძე და გ. ცაიშიაშვილი.

ხ. პილაძის ფოტო.

თქვენთვის, თქვენზე, კატარებო!

სკოლის ზარო!

აბა, ზარო, სკოლის ზარო,
დარეკვა არ დაგეზაროს,
უკვე ადგა ჩვენი ზურა,
სხვასავით არ აბეზარობს,
ეჩქარება, სხვაზე ადრე
დიდკლასელებს
დაემგზავროს.

გადიკიდა ზურგზე ჩანთა,
სკოლის გზაზე გამოვიდა,
აცილებენ ჩიტუნები
ლოცვითა და გალობითა.

საძვირფასო

რა მერხია, რა მერხი,
რა კლასია, რა კლასი,
დაფა ისე პრიალებს,
როგორც შავი ატლასი.

ეს დაფა და ეს მერხი
უფასოდ გაჭეს, რომიკო,
უფასოდ გასწავლიან,
შენც ძვირფასი რომ იყო.

წელს უფასოდ მოგართვეს
ეს ძვირფასი წიგნებიც,
თუ ხუთებზე ისწავლი,
მადლიერი ვიქნებით.

ათი კურდღლის მადევარი

ახლა პირველ კლასში ვარ
როდის მივალ ათამდე?
გავიზარდე კი არა,
ლამის სწავლით გავთავდე.

დამამტვრიეს თითები
საკრავებზე დაკვრითა,
თურმე მოსამზადებლად
მომიყვანეს აკვნითა.

იმის შემდეგ დავყავარ
ბებიას და მამიდას,
იქ როიალს ვუზივარ,
აქ ჭადრაკს მაგიდას...

ყველა წრეში ჩამაბეს
მუდარით და ჩიჩინით,
ცხრა ენას მასწავლიან,
დედაენას ვინ ჩივის?

ტანვარჯიშის სკოლაში
მე და პაპა დავდივარო,
ახლა ცურვის წრეს ხსნიან,
იქაც ვივლით ნამდვილად.

პაპა ჩანთას ჩამომწყნინს,
ბებო ნოტებს გამომჩრის,
მათ სურთ ლელას რომ
ვჭობდე,
მე კი ყველას ჩამოვჩრი.

ხულ ერთია ვინცა ვარ,
ქეთო ვარ თუ მათე ვარ,
თქვით, რა დაემართება
ათი კურდღლის მადევარს?

გიორგი წერეთელი.

კადამიანი და გარემო

ექსპედიცია „დაჭრილი ბუნება“

საქართველოს რაიონებში მოგზაურობიდან დაბრუნდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრისა და საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების გაერთიანებული ექსპედიცია „დაჭრილი ბუნება“. ექსპედიციის წევრები არიან სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — აგრონომი ბ. გოგოლაშვილი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი კ. სარაჯიშვილი, გეოგრაფი ლ. დათუაშვილი, მეტეოროლოგი, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ხიდაშელი, მეტყევე ნ. მაისურაძე, ჟურნალისტები გ. მანია, მ. ჩაჩუა, ჰიდრობიოლოგი გ. მარტაშვილი, ჰიდროლოგი, დოცენტი გ. მეტრეველი, ჰიდროქიმიკოსი ე. მახარაძე და სხვანი.

— საქართველოში ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებისა და სიმდიდრის გამო ბუნების დაცვის საკითხები განსაკუთრებით მწვავედ დგას, — გვითხრა ექსპედიციის კოხსულტანტმა, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის მეცნიერებისა და პროპაგანდის განყოფილების უფროსმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა დავით ნაკაშნი. — ამ საქმეში დიდ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჩვენი კომიტეტი, რომელიც 1974 წელს შეიქმნა და რომლის უშუალო ინიციატივითაც ძალზე ბევრი რამ გაკეთდა, დღევანდელ ეტაპზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია პროპაგანდა ყოველივე იმისა, რასაც პარტია, სახელმწიფო, ყოველი შეგნებული ადამიანი აკეთებს ბუნების დაცვისათვის. პროპაგანდის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი, ყველაზე ქმედითი ფორმა კი სწორედ ასეთი კომპლექსური ექსპედიციებია. ექსპედიციის მონაწილენი მოსახლეობაში აგროვებენ ბუნების დაცვის ან განადგურების მეტყველ ფაქტებს, აწყობენ ლექციებს-საუბრებს და აჩვენებენ კინოფილმებს ბუნების დაცვის საკითხებზე, ამასთანავე, საკუთარი სპეციალობის თვალსაზრისით იკვლევენ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ბუნების დაცვის მხრივ, აღენენ ბუნების ქმედებებს. ასეთი ექსპედიცია პირველად მოეწყო საქართველოში და იგი ერთგვარად ექსპერიმენტულ ხასიათისაა.

ექსპედიციის უფროსია ჟურნალისტი გვანჯი მანია, მეცნიერი ხელმძღვანელი — უნივერსიტეტის გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრის თავმჯდომარე, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიაოკეანოლოგიის კათედრის გამგე, სახელმწიფო და მულტანოვსკის სახელობის პრემიების ლაურეატი პროფესორი გიორგი სულაქველიძე.

პირველი ექსპედიციის მარშრუტი მიმყვებოდა ფარავანას და მტკვარს, შემდეგ — რიონსა და ზღვისპირეთს. ასეთი არჩევანი შემთხვევითი არ არის. სწორედ წყალში აირეკლება უფრო სრულად ბუნების ყოველგვარი გასაჭირი.

ორი თვის განმავლობაში ექსპედიციის წევრებმა მანქანით, ნავით, ცხენით და ფეხით მოიარეს თითქმის ნახევარი საქართველო, მოიპოვეს მრავალი საინტერესო მასალა, რომელიც საფუძვლად დაედება მათს შემდგომ საქმიანობას.

პ. ნაცვლიშვილი.

სურათზე: სალამო „ხალამოს ტბის“ პირას.

მ. ჩაჩუას ფოტო.

ექსკურსია მცირე მინაზე

გვირგვინებით შეამკეს

აბაშის საშენ მასალათა ქარხნის პროფკავშირის აღგილკომმა ექსკურსია მოაწყო მცირე მიწაზე. ქარხნის მუშა-მოსამსახურეებთან ერთად ექსკურსიაზე იყვნენ რაიონის აქტივის წარმომადგენლები — სულ 50 კაცი.

აბაშელებმა გვირგვინებით შეამკეს მემორიალური დაფა იმ ადგილას, სადაც მოხდა მე-18 არმიის დივანტების გადასხმა. ჭ. ნოეროსიანის ოჯახში დაათვალიერეს მუზეუმი, იქ გამოფენილი ნოეროსიანის დაცვისა და გამარჯვების ამსახველი მასალები, იყვნენ ქალაქის საწარმოებში.

ივ. თოფურია,
აბაშის რაიონული გაზეთის რედაქცია

ჩვენი ხელოვნების დესანტები

ბელგრადში, ფესტივალზე

იუგოსლავიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქ ბელგრადში 7-დან 30 სექტემბრამდე გაიმართება „ინტერნაციონალური თეატრალური ფესტივალი“, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრა თეატრის მთავარი რეჟისორი **რობერტ სტურუა:**

— ეს ფესტივალი ტრადიციულია, წელს მეთორმეტედ ეწყობა. ფესტივალი მიმდინარეობს დევიზით — „ახალი თეატრალური ტენდენციები“. მასში ყოველთვის სხვადასხვა ქვეყნის ცხოველი თეატრალური კოლექტივები მონაწილეობენ. წელს, მაგალითად, ფესტივალზე უნდა ჩამოვადგნენ თეატრები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ესპანეთიდან, ბელგიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, დასავლეთ ბერლინიდან, იაპონიიდან, უნგრეთიდან და ა. შ.

ჩვენთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივია, რომ წლევანდელ ფესტივალზე უფლება მოგვეცა წარმოვადგინოთ საბჭოთა თეატრი. სხვადასხვა დროს კი ბელგრადის ფესტივალში მონაწილეობდნენ ლენინგრადის დიდი დრამატული თეატრი, თეატრი ტაგანკაზე, სატირის თეატრი და სხვ.

ბელგრადში მოგვაქვს ბ. ბრეჭტის „კავკასიური ცარცის წრე“. რამ განაპირობა ჩვენი თეატრის მიწვევა ფესტივალზე? საქმე ის არის, რომ მისი ორგანიზატორები წინასწარ ნახულობენ სხვადასხვა ქვეყნის თეატრალურ დადგმებს, საიდანაც არჩევენ საუკეთესოებს. „კავკასიური ცარცის წრის“ ნახვა ჯერ კიდევ შარშან შესთავაზა მოსკოვმა ფესტივალის ორგანიზატორებს. წელს ერთი მთავარი, ცნობილი რეჟისორი მირტაჯიდოვიჩი თბილისში ჩამოვიდა, ნახა ჩვენი სპექტაკლი და მოგვწონა კიდეც ფესტივალზე.

ფესტივალის გახსნის დღეს, 7 სექტემბერს, აგრეთვე მეორე დღეს, დაგეგმილია „კავკასიური ცარცის წრის“ ჩვენება, შემდეგ კი ჩვენს სპექტაკლს გავაცნობთ იუგოსლავიის ქალაქების ზაგრების, ზენიცის და ტუზლის თეატრის მოყვარულთ.

აღსანიშნავია, რომ ბელგრადის ფესტივალზე დაწესებულია რამდენიმე პრიზი გამარჯვებული კოლექტივებისათვის.

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ბოლო წლებში წარმატებით უჩვენებდა თავის ხელოვნებას რუმინეთში, პოლონეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, საბერძნეთში.

იმედი გვაქვს, რომ ბელგრადის ფესტივალზეც წარმოაჩენს ჩვენი თეატრი თავის საუკეთესო ტრადიციებს, საბჭოთა თეატრალური კულტურის ტრადიციებს.

დიმიტრიოს ცამისი:

ღრმა ფესვები

ჩვენს კულტურულ ურთიერთობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები

საქართველოში მყოფმა სალონიკის არისტოტელეს უნივერსიტეტის პროფესორმა, თეოლოგიის დოქტორმა, ათონის გუბერნატორმა დიმიტროოს ცამისმა ინტერვიუ მისცა საქინფორმის კორესპონდენტს.

— მე კარგად ვიცნობ საქართველოს ისტორიას, მის მდიდარ თავისთავად კულტურას, — თქვა დიმიტრიოს ცამისმა. — თქვენს რესპუბლიკაში ყოფნა შესაძლებლობას მომცემს კიდევ უფრო ახლო გავეცნო ქართველი ხალხის ცხოვრებას, რომელსაც საუკუნეთა მანძილზე გაცხოველებული კულტურული ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან. „მაყოფილი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა გავეცნობოდი თქვენი ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ძველ ბერძნულ წერილობით ძეგლებს. ეს მითუმეტეს დიდმნიშვნელოვანია, რომ არისტოტელეს უნივერსიტეტმა დამავალა შეკრიბო დაწერილებითი ინფორმაცია ამ ისტორიულ წყაროების შესახებ.

დიმიტრიოს ცამისმა თქვა, რომ უნივერსიტეტში, რომელსაც იგი წარმოადგენს, შექმნილია სპეციალური განყოფილება, რომლის მეცნიერი თანამშრომლები სწავლობენ ათონის მონასტერში დაცულ ქართულ ხელნაწერებს. ამ განყოფილებამ გამოსცა ორი წიგნი ივერია-ათონის მონასტრის შესახებ. ახლა პროფესორ ანტონი ტახიასის ხელმძღვანელობით მეცნიერთა ჯგუფი დასაბეჭდად ამზადებს ახალ ნაშრომს საქართველოს შესახებ.

ათონის გუბერნატორმა, პროფესორმა დ. ცამისმა აღნიშნა, რომ ქართულ ჟრნალტერს, როგორც X საუკუნის ძეგლს, მთავრობა იცავს და ახლა, კერძოდ მიმდინარეობს მისი მოზაიკის რესტავრაცია.

სტუმარმა გამოთქვა სურვილი, რომ მჭიდრო კონტაქტები დამყარდეს ქართველ მეცნიერებთან.

(საქინფორმი).

ფეხბურთი

გოლების ნვიმა

„ნეფთჩი“ (ბაკო) — „დინამო“ (თბილისი) — 3:3 (2:0).

ბაკოში გამართული შეხვედრის შედეგს თუ წმინდა ალითმეტიკული თვალსაზრისით განვსჯით, ფრეშ თბილისის „დინამოს“ ევროპიროვნული ლიდერის მდგომარეობა შეეფარჩუნა, ხოლო ბაკოელები რამდენადაც დაამორა აუტსაიდერთა საშიშ ზონას. ასეა თუ ისე, ორივე გუნდმა ეტყობა, ჩემპიონატის გადამწყვეტი ფაზის სადღეისო მონაკვეთზე თავისი პროგრამა-მინიმუმი შეასრულა.

გოლები ასეთი თანმიმდევრობით იქნა გატანილი: ბანიშევსკი (მე-18 წუთი), აბასოვი (26-ე), შენგელაია (49-ე), ჯავადოვი (65-ე), ქორიძე (69-ე), შენგელაია (76-ე).

„დინამომ“ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა: გოგია, ხიზანიშვილი, კანდელაძე, ხინჩაგაშვილი, (სულაქველიძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (კოსტავა), შენგელია.

დუბლიორთა ფაზაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, ანგარიშით 2:1. დინამოელთაგან ორივე გოლი მუმლაძემ გაიტანა.

სხვა მატჩები

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის კიდევ ოთხი მატჩი. გთავაზობთ შედეგებს:

„დინამო“ (კ.) — „დინამო“ (მ.) — 1:0
„პახტაკორი“ — „შახტიორი“ — 2:1
„არარატი“ — „ლოკომოტივი“ — 1:1
„ტორპედო“ — ცსკა — 0:0.

ფრე ლენინგრადში

პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეცხრე ტურის მატჩი ქუთაისის „ტორპედომ“ ლენინგრადში ადგილობრივ „დინამოსთან“ გამართა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

სროლა

თბილისელის წარმატება

ბ. კოკორევის ოქრო და ვერცხლი

ფინეთის ქალაქ ხიამენლინნაში მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი სროლაში. აქ ასპარეზობენ ქალები და ოფიციორები.

ოფიციორთა შორის ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში გაიმარჯვა ბრიანსკელმა სერგი პიქანოვმა (567). მას ახლოლდ ჯ ქულით ჩამორჩა თბილისელი გორის კოკორევი და ვერცხლის მედალს დაეუფლა. აღსანიშნავია ისიც, რომ კოკორევმა ამ სახეობაში ევროპის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გუნდურ ასპარეზობაში.

მძლეოსნობა

მეთორმეტე ევროპული...

პრაღაში გრძელდება ევროპის XII ჩემპიონატი მძლეოსნობაში. შეჯიბრების მესამე დღეს თავი ისახელეს ქალთა შორის 800 მეტრზე რბენაში საბჭოთა სპორტსმენებმა. ამ სახეობაში ისინი სამივე მედალს დაეუფლნენ: ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ტატიანა პროვიდოხინამ, ვერცხლისა — ბრიანსკელმა ნადეჟდა მუშტამ (ორივემ ერთნაირი დრო აჩვენა — 1.55,8. ფინიშზე პროვიდოხინამ ერთი სანტიმეტრით მიასწრო მეტოქეს). ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ვლადივოსტოკელ ზოია რიგელს — 1.56,6.

400 მეტრზე რბენაში დიდებულად იასპარეზა მარიტა კოხმა (გდრ). მან მსოფლიო რეკორდი დამყარა — 48,94 წამი.

ათეიდელთა ასპარეზობაში თავი ისახელა საბჭოთა სპორტსმენმა ა. გრებენუკმა. მან 8340 ქულა დააგროვა (ევროპის რეკორდი) და ოქროს მედალი მოიპოვა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

4 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო კინომენტური ფილმი „შემოდგომა“, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე“, 17.30 — ბავშვებისათვის „შვიდფერა ყვავილი“ (ფერადი), 18.00 — „სახალხო დეპუტატი და ცხოვრება“, 18.30 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 19.00 — ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ტრანსლაცია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზიდან. შესვენების დროს — საინფორმაციო პროგრამა „ოთამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი). 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „საჭადრაკო მიმოხილვა“, 22.40 — მხატვრული ფილმი „ჩირადაც არ მიღირს“ (ფერადი).

5 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „როგორ შეიძლება ცირკი არ გიყვარდეს“, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „საუკუნის გზას მივყვები“ (ფერადი), 17.55 — განცხადებები, 18.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „კიში და ორჩანთა“ (ფერადი), 19.15 — „მარქსიზმ-ლენინიზმის აქტუალური პრობლემები“, 19.35 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.00 — „სოციალისტური შეჯიბრების დღეური“, 20.20 — „ახალი მასალები მწერლის არქივიდან“. შალვა რადიანის დაბადების 75 წლისთავის გამო (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „კიზოს მოყვარულთათვის“.

6 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგვითხრობს დანიელ ეროანინი“ I და II ნაწილი, 17.00 — დოკუმენტური ფილმი „ბამის ყანა“ (ქართულ ენაზე), 17.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „სასწაული ეოგრა“, 18.05 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“ (ფერადი), 18.40 — „მეცნიერების აქტუალური პრობლემები“, 19.10 — „მომმე რესპუბლიკების საესტრადო ხელოვნება“ (ფერადი), 19.40 — „ლეობუსი“ (ფერადი), 20.30 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „ვერა და თევდორე“, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „ვერნისაჟი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — სპორტული კალეიდოსკოპი — გამოერთბით (ფერადი).

7 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ლაპპოკეი ივანე გერასიმეს ძე“ 17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „კიკინენბიანი სასწაული“ (ფერადი), 18.15 — დოკუმენტური ფილმი „ნება მიბოძეთ, გაგაცნოთ“ (ქართულ ენაზე), 18.45 — „საერთაშორისო დღიური“, 19.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.15 — კორეის სახალხოდემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების 30-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კინოპროგრამა „კორეა დღეს“ (მოსკოვიდან), 19.45 — „ხალხური მელოდიები“ (მოსკოვიდან), 20.00 — „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ლევ ტოლსტოის ძე ტოლსტოის შესახებ“ (მოსკოვიდან). 20.30 — სპორტული მიმოხილვა, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ლევ ტოლსტოის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი გადაცემა (ფერადი).

8 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — [illegible] 17.55 — „ბავშვი“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 18.35 — [illegible] ბავშვების მასწავლებელი“, 18.55 — კინონარკვევი „ბუნების ხმები“ (ფერადი), 17.15 — მოსწავლეთათვის „გამარჯობა, სექტემბერო!“ — განმეორებით (ფერადი), 17.55 — ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო. ტრანსლაცია საბჭოთა კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან. შესვენების დროს — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე, 22.50 — „მღერიან კინოვარსკვლავები“ — გადაცემა IV (ფერადი).

9 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — კინონარკვევი, 09.30 — დოკუმენტური ფილმი „ვემსახურები სამშობლოს“, 10.40 — „თქვენთვის, შშობლებო!“ (მოსკოვიდან), 11.10 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 11.40 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „შვილები“. 12.10 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 12.55 „სპორტლოტოს“ ტირაჟი (მოსკოვიდან), 13.10 — ანსამბლ „ენგურის“ შეხვედრა რუსთაველ მეტალურგიული ქარხნის ახალგაზრდებთან. განმეორებით (ფერადი), 14.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოგვების საჩუქარი“ (ფერადი), 14.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფერადი), 15.30 — „შრომის წითელი დროშის ორდენის 50-ე წლისთავი“ (მოსკოვიდან), 15.45 — კონცერტი, 16.10 — ბულგარელი ხალხის ეროვნული დღესასწაულისადმი — თავისუფლების დღისადმი — მიძღვნილი პროგრამა (მოსკოვიდან), 19.00 — ახალი ამბები (მოსკოვიდან), 19.20 — „ცხოველთა სამყაროში“ (მოსკოვიდან), 20.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 150-ე წლისთავის გამო. ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კაკაბაძეური მოთხრობა“ — I სერია — პრემიერა (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო მხატვრული ფილმი „კაკაბაძეური მოთხრობა“ — II სერია (მოსკოვიდან), 23.35 — „საჭადრაკო მიმოხილვა“.

10 სექტემბერი

09.00 — „ვრემია“ — (საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.35 — მულტიპლიკაციური ფილმი „ჩემო მიწავ“ (ფერადი), 09.45 — დოკუმენტური ფილმი „ცხოვრების ძარღვი“, 10.30 — „მაღვიძარა“ (მოსკოვიდან), 11.10 — „ცეროდენას ეკრანი“ (ქართულ ენაზე), 11.30 — კინონარკვევები, 12.00 — „სტუმრად ზღაპართან“ — მხატვრული ფილმი „მშვენიერი ვილისა“ (მოსკოვიდან), 13.30 — მოსწავლეთათვის — „ზაფხულის ექო“..., 14.10 — კინონარკვევი — „ქალაქი ანგარაზე (ფერადი), 14.30 — „მუსიკალური კიოსკი“ (მოსკოვიდან), 15.00 — „ხუთწლედი — წელი მესამე“ — სატელევიზიო პროგრამა, 15.45 — „ანბის მოყვარულთათვის“, 17.30 — „საერთაშორისო პანორამა“ (მოსკოვიდან), 18.00 — „დღეს — ტანსისტების დღეა“ (სტუდიაშია არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. გ. პავლოვსკი (მოსკოვიდან), 18.15 „კინოპოეზია“, 18.45 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.15 — „კინოშოგზაურთა კლუბი“ (მოსკოვიდან), 20.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — საესტრადო კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — „ქუთაისის თეატრი“ (ფერადი).

ტელევიზია

2 სექტემბერი

პირველი პროგრამით

09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.45 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დილა მშვიდობისა“! (ფერადი), 10.15 — კინონარკვევი, 10.25 — „თქვენთვის, შშობლებო!“ (მოსკოვიდან), 10.55 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 11.25 — მულტიპლიკაციური ფილმები, 11.55 — სსრ კავშირის 1978 წლის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად არქიტექტურის დარგში (მოსკოვიდან), 12.25 — ქართული ფერადი მუსიკალური სატელევიზიო ფილმი „ოვერნა, სიყვარული და...“, 13.25 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.10 — „სპორტლოტოს“ ტირაჟი (მოსკოვიდან), 14.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 15.20 — მოსწავლეთათვის „პირველი ზარი“ (ფერადი), 16.00 — ხვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა, სტუდიაში — სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი ს. ორუჯევი (მოსკოვიდან), 16.15 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები“ (ფერადი), 16.45 — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტელევიზიის პროგრამა (მოსკოვიდან), 19.00 — კონცერტი (ფერადი), 19.40 — სატელევიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. I ნაწილი, პრემიერა. საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი), 21.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — კონცერტი, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.30 — საჭადრაკო მიმოხილვა (ფერადი), 22.40 — სატელევიზიო სპექტაკლი „გაკვეთილები“. II ნაწილი. პრემიერა (ფერადი).

მეორე პროგრამით

18.00 — დოკუმენტური ფილმი „ვემსახურები სამშობლოს!“, 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ოქვენ მწერდით“, 20.30 — კონცერტი.

რადიო

3 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — „ჩვენი მთა-ბარის ბანგები“, 08.00 — „გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მოსკოვიდან), 08.33 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის“ საკვირაო გამოშვება, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (მოსკოვიდან), 10.15 — „დილა მშვიდობისა!“ (მოსკოვიდან), 11.05 — „პიონერია ლაფიონი“ (მოსკოვიდან), 11.45 — „მუსიკალური რადიოფიშა“, 12.00 — ქვეყნებში და კონტინენტებზე (მოსკოვიდან), 12.15 — „პოეტი მიკროფონთან“ — ანა კალანდაძე, 12.30 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 13.00 — „დრო, მოვლენები, ადამიანები“ (მოსკოვიდან), 13.30 — ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი“, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ (ერევნიდან), 15.30 — „დიდები და პატარები“. საუბარი „ი. ჭავჭავაძე — შშობლებს“, 15.45 — ვ. აზარაშვილი. სავიოლინო-ჩელო კონცერტი, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „შუქი სიკეთისა“, 18.00 — რადიოსადგურ „იუნოსტის“ პროგრამა (მოსკოვიდან), 19.05 — კონცერტი ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა თხოვნით, 20.13 — „კულტურული ცხოვრების ქრონიკა“ (მოსკოვიდან), 20.30 — ვაჟა-ფშაველა. „სტუმარ-მასპინძელი“ რადიოდადგმა, 21.25 — გამოჩენილი მუსიკოს-შემსრულებლთა კონცერტი, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

კომუნისტი — ჩვენი ფისავარი და ტელეფონები

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს — 99-93-03 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროგრამა — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-55, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24 ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЮ-02188

ზაქ. კ. ცაბის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14